

მე-12 კლასი

ანალოგიები

სასრული:უსასრულო

ა. რაციონალური:ირაციონალური ბ. ტკბილი:მწარე გ. თეთრი:შავი

დაყარა:დაუცვივდა

ა. მოძებნა:წააწყდა ბ. იპოვა:მოძებნა გ. დაუვარდა:დააგდო

დასაწყისი:დასასრული პროლოგი:

ა. ეპილოგი ბ. მონოლოგი გ. დიალოგი

წინადადებების შევსება

წიგნის შინაარსზე მისი ყდით _____ ვიმსჯელოთ. _____ წიგნებს _____ ყდა აქვთ ხოლმე.

ა. უნდა/უშინაარსო/ზოგჯერ ულამაზესი

ბ. არ უნდა/ძალიან საინტერესო/ხშირად ულამაზო

გ. უნდა/ძალიან საინტერესო/არც ისე მიმზიდველი

ლევანს _____ ლექსებისა და პოემების დაზეპირება, _____ „ვეფხისტყაოსანი“ _____.

ა. არ შეუძლია/შესაბამისად/ზეპირად იცის

ბ. არ უყვარს/მაგრამ/ზეპირად არ იცის

გ. არ უყვარს/თუმცა/ზეპირად იცის

მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელს _____ ვუსმენდი, ახალი გაკვეთილი _____.

ა. გულდასმით/მაინც ვერ გავიგე

ბ. თითქმის არ/მაინც ვერ გავიგე

გ. კარგად/კარგად გავიგე

ლოგიკა

ცნობილია, რომ თუ ანი წავა კინოში, მასთან ერთად წავა სალოც. ხოლო თუ სალო წავა კინოში, მასთან ერთად წავა გვანცაც. ამ სამი გოგოდან კინოში მხოლოდ ორი წავიდა. ვინ არ წავიდა კინოში?

ა. ანი ბ. სალო გ. გვანცა

დავუშვათ, რომ:

არც ერთი ბავშვი არ არის ცელქი

ყველა ბავშვს უყვარს ზოოპარკში სეირნობა

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ დებულებებიდან აუცილებლად?

ა. ზოგიერთი მათგანი, ვისაც უყვარს ზოოპარკში სეირნობა, არ არის ცელქი

ბ. ყველა, ვისაც უყვარს ზოოპარკში სეირნობა, ცელქია

გ. ყველა ცელქს უყვარს ზოოპარკში სეირნობა

არჩილი, ბაჩო, გიორგი და დიტო თამაშისთვის 2-2ად გაიყვნენ. თუკი ჩამოთვლილი სამი წინადადებიდან:

არჩილი და ბაჩო ერთ გუნდში არიან

არჩილი და გიორგი ერთ გუნდში არიან

ბაჩო და დიტო ერთ გუნდში არ არიან

მხოლოდ ერთია მცდარი. რომელია ის?

ა. I ბ. II გ. III

მონაცემთა საკმარისობა

მოცემულია ორი პირობა:

I : a ლუწია

II : a იყოფა 3-ზე

იმისათვის, რომ გავიგოთ გაიყოფა თუ არა a^2 9-ზე

ა. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი

საბამ დახატა ოთხკუთხედი. მოცემულია ორი პირობა:

I : საბას ოთხკუთხედი რომბია

II : საბას ოთხკუთხედი მართკუთხედი

იმისათვის, რომ გავიგოთ ზუსტად რამდენი სიმეტრიის ღერძი აქვს საბას ოთხკუთხედს:

ა. მოცემული პირობები არ არის საკმარისი

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი

მოცემულია ორი პირობა:

$$I: a^2 = 25$$

$$II: a^3 = -125$$

იმისათვის, რომ გავიგოთ რას უდრის a

ა. საკმარისია ორივე პირობა ერთად, ცალ-ცალკე კი არც ერთი პირობა არ არის საკმარისი

ბ. II პირობა საკმარისია, I კი არა

გ. საკმარისია ცალ-ცალკე როგორც I, ასევე II პირობა

მათემატიკური აზროვნება

რომელია მეტი? შემოხაზეთ ა თუ მეტია A, შემოხაზეთ ბ თუ მეტია B და შემოხაზეთ გ თუ $A=B$

$$A = \sqrt{17}$$

B = 32-სა და 100-ის უდიდესი საერთო გამყოფი

ა ბ გ

რამდენი 0-ით ბოლოვდება 1-დან 30-ის ჩათვლით ნატურალური რიცხვების ნამრავლი?

ა. 6 ბ. 7 გ. 8

რამდენი სამნიშნა ნატურალური რიცხვი არ იყოფა არც 2-ზე და არც 3-ზე?

ა. 150 ბ. 225 გ. 300